საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 23 0000643837

05/06/2023

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათ ლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი

მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2.აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №1379522 წერილით წარმოდგენილია სააკრედიტაციო განაცხადი “საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 18 ნოემბრის №1474100 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 30 იანვრის №ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 14 თებერვალს, განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 19 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და რეკომენდაციები.

3.სარეზოლუციონაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/05/2030).

1. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 05 ივნისის №641511 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი შემდგომში მისი მდგრადი განვითარების უზრუვნელსაყოფად.

რჩევები:

1. პროგრამის ხელმძღვანელობმა გაითვალისწინონ სტუდენტებისთვის შეთავაზებულიარჩევითი მოდულების უფრო მოქნილი სწავლების განრიგის უზრუნველოფა (მაგალითად, საღამოს საათებში სწავლება მათთვის ვინც მუშაობას, ან ზოგიერთი კონტენტის ონლაინ რეჟიმში სწავლება).
2. პროგრამის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ არჩევითი საგნების გაფართოებაზე, დაამატონ პროგრამის შინაარსთან რელევანტური მეტი საგანი.
3. პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ სასწავლო პროგრამაში არქეოლოგიის დარგის ელემენტების შეტანა, განსაკუთრებით ოკუპირებული ტერიტორიების.
4. პროგრამის ხელმძღვანელები არჩევითი საგნის „მეოცე საუკუნის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიების (სტალინიზმი)“ სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
5. სასურველია აკადემიურმა პერსონალმა განაგრძოს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის მუდმივი განახლება (სასურველია 2012 წლის შემდგომი პუბლიკაციებთ).
6. დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების, პრეტენზიებისა და შევიწროებასთან დაკავშირებული პროცედურები.
7. დაწესებულებამ გამონახოს გზები, იმისათვის რომ შეფასების პროცესში მონიტორინგი გაუწიოს, იყენებენ თუ არა სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს და ChatGPT-ს , მათ შორის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას.
8. დაინერგოს სადოქტორო ნაშრომის გვერდების რაოდენობის მინიმალური ზღვარი.
9. საველე პრაქტიკის ჩართვა, როგორც დამატებითი კვლევის/ტრენინგის შესაძლებლობას სტუდენტებისთვის.
10. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე.
11. სასურველია, გააგრძელოს ინსტიტუციამ მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ერთობლივ საერთაშორისო კვლევით აქტივობებში.
12. დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა უნივერსიტეტში არსებული ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესებაზე და ელ-პლატფორმაზე სასწავლო მასალების ატვირთვის გაუმჯობესებაზე, როგორც ეს მითითებული იყო გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციებში.
13. სასურველია , დაწესებულებამ წაახალისოს და მოუწოდოს სტუდენტებს გამოიყენონ უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი ვრცელი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 05 ივნისს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია History of Georgia
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი Doctor of History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 - ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ.N68, გორი, სასწავლო კორპუსი №2, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 05 ივნისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 01 მაისი